ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №115

2010 წლის 12 ნოემბერი

ქ. ახალქალაქი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება (დანართი №1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7.10.2010 წლის №108 დადგენილება.

3. დადგენილება ამოქმედდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ჰ. მოვსესიანი

შეტანილი ცვლილებები:

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 18 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 25.01.2011წ

დანართი №1

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

1. მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, კულტურისა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება საკრებულოს მიერ. სამსახურის საშტატო ნუსხას ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 18 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 25.01.2011წ

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან – განყოფილებებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება.

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილები უფროსი.

4. სამსახური განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან.

5. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულებით და შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების ერთ-ერთი მოხელე.

6. განყოფილების მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება გამგეობის დებულებით. განყოფილების მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობებით.

7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება გამგეობის დებულებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) განათლების, კულტურისა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

ბ) განათლების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

გ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მართვას;

დ) მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების მართვას;

ე) მუნიციპალური სპორტული დაწესებულებების მართვას;

ვ) წინადადებების შემუშავებას კულტურის, განათლებისა და სპორტის დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება.

სამსახურის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ტურიზმის მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას;

ბ)ტურისტული მარშრუტების შედგენასა და მათი ამოქმედებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;

გ) შესაბამისი ბუკლეტების გამოცემა და მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაცია;

დ) მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.